

„თიბისი ბანკის“ საქმე: ფულის გათეთრებასთან  
დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნა

კვლევის ავტორი:

პოლინ დევიდი

ექსპერტი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში / ადვოკატი

## სარჩევი

ძირითადი მიგნებები	2
ბრალდების შესახებ დადგენილება	3
დაცვის მხარის პოზიცია	4
საქმეში არსებული ფაქტები	5
კანონმდებლობა	6
ფულის გათეთრების პროცესი	7
ფულის გათეთრების ელემენტები	8
<i>„პრედიკატული დანაშაული“</i>	8
<i>არ არსებობს ფულის გათეთრების შემადგენლობის ცალკეული ელემენტები</i>	9
სავარაუდოდ ჩადენილი პრედიკატული დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა გასულია	13
პრედიკატული დანაშაულიდან მიღებული „უკანონო შემოსავალი“	13
უკანონო შემოსავლის „ლეგალიზაცია“	13
ფულის წარმომავლობის „შენიღბვის განზრახვა“	15
ხანდაზმულობის ვადა	17
სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენება ხანდაზმულობისთვის თავის არიდების მიზნით კანონის მანიპულირების გზით	19
სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დოქტრინა	19
ხანდაზმულობის ვადისათვის თავის არიდება ან მანიპულირება	22
დასკვნა	24

## „თიბისი ბანკის“ საქმე:

### მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის წინააღმდეგ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნა

#### ძირითადი მიგნებები

„თი ბი სი ბანკის“ საქმეზე ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეფასების შემდეგ შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ არ არსებობს რაიმე საფუძველი იმის სამტკიცებლად, რომ მამუკა ხაზარაძემ, ბადრი ჯაფარიძემ ან ავთანდილ წერეთელმა, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, ფულის გათეთრების დანაშაული ჩაიდინეს.

აღნიშნული მოსაზრება ემყარება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო აქტების, ბრალდების შესახებ დადგენილების, საქმეში არსებული ფაქტებისა და ფულის გათეთრების საქმეებზე საერთაშორისოდ დადგენილი პრაქტიკის შეფასებას, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც მიღებული იქნა 2020 წლის თებერვალში, თბილისში გამართული შეხვედრებისას.

ღნიშნული დასკვნა გამოტანილია შემდეგი მიზეზების გამო:

- სავარაუდო ქმედება არ იძლევა ფულის გათეთრების თითოეული ელემენტის დამტკიცების შესაძლებლობას.
- არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადგენს:
  - სესხის გზით მიღებული თანხის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) განზრახვას;
  - თანხის „უკანონო წარმომავლობის“ დამალვის განზრახვას;
  - მიღებული თანხების ლეგალურ ეკონომიკაში ინტეგრირების განზრახვას.
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო საქმეში არსებულ ყველა ფაქტს ბრალდების მხარის სასარგებლოდ ცნობს, ეს გარემოებები მაინც ვერ დაადასტურებს ფულის გათეთრების ბრალდებას.
- ფულის გათეთრება და პრედიკატული დანაშაული (ამ შემთხვევაში ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაული) განსხვავებული დანაშაულებია.
- მხოლოდ პრედიკატული დანაშაულის დამადასტურებელი მტკიცებულებები ფულის გათეთრების ბრალდებას ვერ დაადასტურებს.
- იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბრალდების მხარე პრედიკატული დანაშაულის ჩადენის ფაქტს დაამტკიცებს, ნებისმიერი მომდევნო ქმედება, მხოლოდ უკანონოდ მიღებული შემოსავლის *გამოყენების* და არა მისი *გათეთრების* ფაქტს გაამყარებს.
- საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სასამართლოები გმობენ ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის პირთა გასამართლების პრაქტიკას, მაშინ როდესაც სავარაუდოდ ჩადენილი ქმედება არ სცდება პრედიკატული დანაშაულის ფარგლებს.
- ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულის ფაქტზე ვერც ცალკე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება და ვერც პრედიკატულ დანაშაულად იქნება მიჩნეული.
- საერთაშორისოდ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, არასათანადო ან ხელოვნურად შექმნილი ბრალდების საფუძველზე (ამ შემთხვევაში ფულის გათეთრების ბრალდება), ხანდაზმულობის ვადის გვერდის ავლა სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენებად მიიჩნევა.
- არაერთ იურისდიქციაში, სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დადგენის შემთხვევაში, სასამართლო პროცესის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს.

## ბრალდების შესახებ დადგენილება

2019 წლის 24 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალდება წარუდგინა ფულის გათეთრების მუხლით, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით.<sup>1</sup>

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, 2008 წლის აპრილში მამუკა ხაზარაძემ, იმ დროს სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, და ბადრი ჯაფარიძემ, ამავე საბჭოში მისმა მოადგილემ, „თიბისი ბანკიდან“ მოტყუების გზით დიდი ოდენობის თანხები მიისაკუთრეს, რის შემდეგაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განახორციელეს.

პროკურატურის მტკიცებით, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ თავიანთ მეგობარს, ავთანდილ წერეთელს, „თიბისი ბანკიდან“ სესხების აღება სთხოვეს. 2008 წლის აპრილსა და მაისში წერეთელმა საკუთარი კომპანიების „სამგორი თრეიდისა“ და „სამგორი M“-ის მეშვეობით „თიბისი ბანკიდან“ 16 664 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხები აიღო. ორივე შემთხვევაში სესხის თანხა „სამგორის“ ანგარიშებზე ჩაირიცხა, შემდეგ ამ თანხის ლარში კონვერტაცია და მისი მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე გადარიცხვა განხორციელდა. აღნიშნულს, სესხის ხელშეკრულებების გაფორმება უსწრებდა წინ.

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, საბანკო რეგულაციების ფორმალურად დაკმაყოფილებისა და დანაშაულებრივი განზრახვის დამალვის მიზნით, ხაზარაძისა და ჯაფარიძის მიერ შერჩეულმა იურიდიულმა პირებმა (წერეთლის კომპანიებმა „სამგორი თრეიდმა“ და „სამგორი M“-მა) „თიბისი ბანკს“ სესხის მიზნობრიობის შესახებ ყალბი ინფორმაცია წარუდგინეს და განაცხადეს, რომ სესხი „საბრუნავი სახსრების გაზრდის მიზნით“ სჭირდებოდათ. პროკურატურა ასევე აცხადებს, რომ ბანკის მენეჯმენტის მოტყუების მიზნით, სხვადასხვა უძრავი ქონება „თვალთმაქცური სესხების უზრუნველსაყოფად“<sup>2</sup> იპოთეკით დაიტვირთა.

პროკურატურის მტკიცებით, ხაზარაძემ, ჯაფარიძემ და წერეთელმა ერთობლივად და მოტყუებით სს „თიბისი ბანკიდან“ დიდი ოდენობის თანხები მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს, რის შემდეგაც, მათი წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, რეალური მფლობელისა და ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით, უკანონოდ მოპოვებული თანხების ლეგალიზაცია განიზრახეს.

როგორც ბრალდების შესახებ დადგენილებაში არის აღნიშნული, სესხის გადახდის საბოლოო ვადად 2008 წლის 21 ოქტომბერი განისაზღვრა. 2008 წლის 21 ოქტომბერსა და 2008 წლის 7 ნოემბერს კომპანიებს „სამგორი თრეიდი“ და „სამგორი M“ სესხების გადახდის ვადა ერთი წლით

<sup>1</sup> ბრალდების თანახმად, მ. ხაზარაძემ და ბ.ჯაფარიძემ ჩაიდინეს დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებს - უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულის გათეთრება (ქონებით სარგებლობა, ქონების შექმნა, ფლობა, კონვერსია და გადაცემა) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, მასზე საკუთრების უფლების დამალვა ან შენიღბვა, ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

<sup>2</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება.

გაუხანგრძლივდათ. 2008 წლის 31 დეკემბერს სესხები უიმედო ვალების კატეგორიაში მოექცა და „თიბისი ბანკმა“ ისინი „ჩამოწერა“. ამას გარდა, „თიბისი ბანკმა“ იპოთეკისგან გაათავისუფლა სესხის უზრუნველსაყოფად ჩადებული უძრავი ქონება, ხოლო 2012 წლის 8 აგვისტოს ორივე კომპანია სრულად გაათავისუფლა საბანკო ვალდებულებებისგან.

## დაცვის მხარის პოზიცია

დაცვის მხარე უარყოფს ფულის გათეთრების ბრალდებას.<sup>3</sup> დაცვის მხარის პოზიციის თანახმად, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ, კომერციული გეგმის ფარგლებში, 2007-2008 წლებში „თიბისი ბანკის“ საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით, ფული ისესხეს დინამიკურად მზარდი ქართული ეკონომიკის ფონზე. ბანკის კაპიტალის გაზრდის თაობაზე საკუთარი ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ Allied Irish Bank (AIB)-თან გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც AIB დათანხმდა, რომ რეფინანსირებისთვის 80 მილიონი აშშ დოლარი გამოეყო იმ პირობით, რომ ამ თანხას თავდაპირველად „თიბისი ბანკი“ იშოვიდა. ხაზარაძემ და ჯაფარიძემ სხვა წყაროებიდან 60 მილიონი იშოვეს და დარჩენილი 20 მილიონისთვის ქართველ ბიზნეს პარტნიორებს, მათ შორის „სამგორი თრეიდისა“ და „სამგორი M“-ის მეკატრონეს, ავთანდილ წერეთელს, მიმართეს.

დაცვის მხარე არ უარყოფს სესხის ტრანსაქციების განხორციელებას და აცხადებს, რომ ყველა ტრანსაქცია და სესხი იმ ლეგიტიმური ბიზნეს ტრანსაქციებისა და სესხის ხელშეკრულებების ნაწილი იყო, რომლებიც „თიბისი ბანკის“ რეკაპიტალიზაციას უკავშირდებოდა. ისინი უარყოფენ როგორც „თიბისი ბანკის“ ფულის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ბრალდებას, ისე წერეთლის კომპანიების ანგარიშებიდან სესხის სახით მიღებული თანხების უკანონო ლეგალიზაციის ფაქტს.

ხაზარაძის და ჯაფარიძის ჩვენების თანახმად, მათ არ იცოდნენ, რომ ის ფული, რომელიც წერეთლისგან მიიღეს, თავდაპირველად „თიბისი ბანკიდან“ იყო ნასესხები. მათ ეგონათ, რომ ეს ფული წერეთლის კომპანიებიდან იყო, რომელთაც „თიბისი ბანკში“ 35 მილიონი დოლარის საკრედიტო ხაზი ჰქონდათ გახსნილი, რაც შესაძლებლობას აძლევდათ, ნებისმიერ დროს ამ ფარგლებში სესხი აეღოთ.<sup>4</sup> აღნიშნულ ვერსიას წერეთელიც ადასტურებს. მან გამომძიებლებს განუცხადა, რომ თავდაპირველად ხაზარაძისათვის ნასესხები თანხის წარმომავლობის შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია.<sup>5</sup>

---

<sup>3</sup> დაცვის მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის წყარო რამდენიმეა, მათ შორისაა: ბრალდების შესახებ დადგენილება; 2020 წლის თებერვლის დასაწყისში თბილისში მამუკა ხაზარაძესთან, ბადრი ჯაფარიძესთან და სხვა პირებთან და ორგანიზაციებთან 2020 წლის თებერვალში გამართული შეხვედრები; „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ინფორმაცია „თიბისი ბანკის დამფუძნებლების წინააღმდეგ დაწყებული გამოძიების ისტორია“ და სხვა ანგარიშები, რომლებიც ხელმისაწვდომია ვებგვერდზე <https://www.transparency.ge/en>; ქართული და საერთაშორისო მედია საშუალებების რეპორტაჟები; მოშე ლადორის და პოლ კოფის მიერ შესრულებული 2019 წლის 1-2 სექტემბრის „ანგარიში თიბისი ბანკის საქმეზე“; სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის 9 იანვარს წარდგენილი სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება; სქოლიოებში მოცემული სხვა ინფორმაცია.

<sup>4</sup> მოშე ლადორი და პოლ კოფი, „ანგარიში თიბისი ბანკის საქმეზე“, 2019 წლის 1-2 სექტემბერი.

<sup>5</sup> *Ibid.*

ხაზარაძე და ჯაფარიძე აცხადებენ, რომ სესხები „თიბისი ბანკში“ დაგროვილ 200 მილიონიან უიმედო ვალებთან ერთად ჩამოიწერა ომის შემდგომი რეგულირების და გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე. სასამართლო პროცესზე ბანკის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვალების ჩამოწერის მსგავსი პრაქტიკა 2008 წლის ომის შემდეგ ყველა „უიმედო“ ვალის მიმართ განხორციელდა, რაც ომის შემდგომი მძიმე ეკონომიკური ვითარებით, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო ინვესტორების მოთხოვნებით იყო ნაკარნახევი.<sup>6</sup>

დაცვის მხარემ დაადასტურა, რომ სესხის ხელშეკრულებები, რომლებიც ხაზარაძესა და ჯაფარიძეს სხვადასხვა პირთან თუ კომპანიასთან ჰქონდათ გაფორმებული ნამდვილი სესხები იყო და ამას სხვადასხვა დოკუმენტური მტკიცებულება თუ მოწმეთა ჩვენებებიც ადასტურებს.<sup>7</sup> ყველა კრედიტორმა დაადასტურა სესხის ნამდვილობა და მხედველობაშია მისაღები, რომ არ არსებობს რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ეს ხელშეკრულებები თვალთმაქცური ან ფიქტიური ხასიათის იყო, რომელთა მიზანი თანხების ნამდვილი ბუნების დამალვა იყო.<sup>8</sup>

## საქმეში არსებული ფაქტები

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ „თიბისი ბანკიდან“ გაცემული სესხები წერეთლის კუთვნილი კომპანიების, „სამგორი თრეიდისა“ და „სამგორი M“-ის, ანგარიშებზე ჩაირიცხა. ასევე დადგენილია, რომ ამის შემდგომ „სამგორის“ ანგარიშებიდან ამ თანხების ხაზარაძისა და ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე გადარიცხვა განხორციელდა. უდავოა, რომ მიღებული თანხა კრედიტორებს გადაუხადეს იმ რიგი სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში, რომლებზეც ბრალდების მხარე საუბრობს. ასევე უდავოა, რომ „თიბისი ბანკიდან“ გაცემული სესხები მოგვიანებით ჩამოიწერა.

მსჯელობის საგანს წარმოადგენს, „თიბისი ბანკიდან“ გაცემული სესხების „სამგორი თრეიდის“ და „სამგორი M“-ის ანგარიშებზე გადარიცხვის შემდგომ განხორციელებული ტრანსაქციები იყო თუ არა ფულის გათეთრების შემთხვევა.

ბრალდების მხარის მტკიცებით, ეს ტრანსაქციები უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ტოლფასი იყო. ბრალდების მხარე ასევე აცხადებს, რომ „სამგორი თრეიდისა“ და „სამგორი M“-ის ანგარიშებიდან თანხების ხაზარაძისა და ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე ჩარიცხვა ამ თანხების გათეთრებას ისახავდა მიზნად და შემდგომი ტრანსაქციები მხოლოდ ფიქტიური ხასიათისა იყო.<sup>9</sup>

დაცვის მხარე აცხადებს, რომ საკუთარ საბანკო ანგარიშებზე თანხების მიღება და ფულის შემდგომი გამოყენება კრედიტორთა ვალების დასაფარად კანონიერი კომერციული ტრანსაქცია იყო, რომელიც

<sup>6</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae), 9 იანვარი 2020, რომელიც მე-2 გვერდზე განვითარებული მსჯელობა ეყრდნობა ვ.ბ-ს დაკითხვის მასალებს (სისხლის სამართლის #074020818802 საქმის მასალები, ტომი 10, გვ. 94-137), ასევე პ.გ-ს დაკითხვის მასალებს (ტომი 10, გვ. 214-230).

<sup>7</sup> *Ibid*, გვერდი 10.

<sup>8</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae), 9 იანვარი 2020, რომელში განვითარებული მსჯელობაც ეყრდნობა ვ.ბ-ს დაკითხვის მასალებს (სისხლის სამართლის #074020818802 საქმის მასალები, ტომი 33).

<sup>9</sup> *Ibid*.

კანონიერი სესხის ხელშეკრულებებს ეხებოდა და მისი მიზანი „თიბისი ბანკის“ კაპიტალიზაცია იყო. დაცვის მხარე უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის განზრახვას უარყოფს.

მსჯელობის საგანია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და ფულის გათეთრების შესახებ საერთაშორისო აქტების მხედველობაში მიღებით, ხაზარაძის, ჯაფარიძისა და წერეთლის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლოა თუ არა, საქართველოს პროკურატურის მიერ დამტკიცების შემთხვევაში, ჩაითვალოს ფულის გათეთრების დანაშაულად.

ფაქტების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით შესაძლოა დადგენილიყო ქონების უკანონო მისაკუთრების ფაქტი, თუმცა მათ საფუძველზე ვერ დგინდება ფულის გათეთრების ჩადენა. იმ შემთხვევაშიც კი, სასამართლომ საქმეში არსებული ყველა ფაქტი ბრალდების მხარის სასარგებლოდ რომ ცნოს, ეს ფაქტები მაინც ვერ დაადასტურებს ფულის გათეთრების ბრალდებას.

### **კანონმდებლობა**

ხაზარაძესა და ჯაფარიძეს ბრალდება წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით:

*მუხლი 194. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება)*

*1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა, –*

*ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.*

*2. იგივე ქმედება:*

*ა) ჩადენილი ჯგუფურად;*

...

*ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ცხრა წლამდე.*

*3. იგივე ქმედება:*

....

*გ) რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, –*

*ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.*

მარტივად რომ ვთქვათ, 194-ე მუხლი მიმართულია იმ ქმედებების კრიმინალიზაციისკენ, რომლის მეშვეობითაც უკანონოდ მოპოვებული ფულის ან ქონების („ჭუჭყიანი ფული“) ლეგალიზაცია („ფულის გათეთრება“) ხდება კანონიერ („სუფთა“) ფულად.

194-ე მუხლის ფორმულირება იდენტურია იმ ფორმულირებისა, რომელიც ვენისა და სტრასბურგის კონვენციებითაა გათვალისწინებული.<sup>10</sup>

## ფულის გათეთრების პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (the Financial Action Task Force - FATF), რომელიც მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტებს აწესებს, ფულის გათეთრებას განსაზღვრავს როგორც პროცესს, რომელსაც დამნაშავეები მოპოვებული ფულადი სახსრების წყაროს შესანიღბად იყენებენ, რათა საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობიდან შემოსავალი ისე მიიღონ, რომ ყურადღების მიღმა დარჩეს ის ძირითადი საქმიანობა, საიდანაც ეს ფული მიიღეს.<sup>11</sup> დამნაშავეები ამას აკეთებენ წყაროების შენიღბვით, ფორმის შეცვლით ან თანხების იმ ადგილებზე გადატანით, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ყურადღება მიიქციონ. როგორც წესი, ფულის გათეთრების სამი ეტაპი არსებობს, თუმცა ფულადი სახსრები ყოველთვის არ გადის ქვემოთ მოყვანილ ეტაპებს:<sup>12</sup>

**განთავსება (placement)** - ფულის გამთეთრებელი უკანონო შემოსავალს ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ათავსებს. ეს შესაძლოა განხორციელდეს დიდი თანხის ნაკლებად შესამჩნევ მცირე „სტრუქტურირებულ“ თანხებად დაყოფით, რის შემდეგაც მათი განთავსება ხდება საბანკო ანგარიშზე

---

<sup>10</sup> ვენის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების ამოღების და კონფისკაციის შესახებ, თავი 1, მუხლი 3 და სტრასბურგის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, თავი 1, მუხლი 6.

ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ სტრასბურგის კონვენციის (8.11.1990) 1-ლი თავის 1-ლი e მუხლის მიხედვით, „პრედიკატული (ძირითადი) დანაშაული“ ნიშნავს ნებისმიერ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მოპოვებულ იქნა შემოსავალი, რომელიც შეიძლება გახდეს დანაშაულის ობიექტი ამ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად. აღნიშნული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო ან სხვა აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ, მისი შიდა სამართლით, დანაშაულის კვალიფიკაცია ენიჭებოდეს საერთაშორისო მასშტაბით ჩადენილ ქმედებებს:

a) ქონების კონვერსია ან გადაცემა, როდესაც პირმა იცის, რომ ამგვარი ქონება არის შემოსავალი, მიღებული იმ მიზნით, რომ დაიფაროს ან შეინიღბოს ქონების არაკანონიერი წარმომავლობა ან დახმარება გაეწიოს ძირითადი დანაშაულის ჩადენაში ჩარეულ ნებისმიერ პირს მისი ქმედების იურიდიული შედეგების თავიდან აცილებაში;

b) ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, გადაადგილების, მასზე ან მის ფლობაზე უფლებების დამალვა, როდესაც შესაბამისმა პირმა იცის, რომ ასეთი ქონება არის შემოსავალი.

<sup>11</sup> ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF), ვებგვერდი [www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering](http://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering).

<sup>12</sup> ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF), ვებგვერდი [www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering](http://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering).



ან რამდენიმე საბანკო ანგარიშზე.<sup>13</sup> განთავსება, შესაძლოა, გულისხმობდეს რიგი ფულადი ინსტრუმენტის (ჩეკების, ფულადი გზავნილების, ა.შ.) შექმნას, რის შემდეგაც ხდება მათი შეგროვება და სხვა ანგარიშებზე განთავსება. არალეგალური ფული, შესაძლოა, ლეგალურ ფულთან ერთად განთავსდეს კანონიერ ბიზნესში, როგორცაა რესტორანი ან სამრეცხაო.

ფენების გაჩენა (layering) – მას შემდეგ, რაც ფულადი სახსრები ლეგალურ ფინანსურ სისტემაში განთავსდება, აღნიშნულ ფაზაზე, ფულის გამთეთრებელი ფულადი სახსრების კონვერსიას ან გადაადგილებას იწყებს, მათი უკანონო წყაროს დამალვის მიზნით. ფულის გამთეთრებელს შეუძლია, ფულადი გზავნილები მსოფლიო მასშტაბით არსებულ სხვადასხვა ბანკში გადაიტანოს სხვადასხვა ანგარიშის ან ფიქტიური კომპანიის მეშვეობით, რომელთა რეალური მიზანიც უკანონო ფულის გადატანაა. ფულის გამთეთრებელს შეუძლია, შენიღბოს გადარიცხვები, თითქოს ისინი საქონლის ან მომსახურებისთვისაა განკუთვნილი და ამით მათ ლეგიტიმური სახე შესძინოს.

ინტეგრაცია (integration) – ეს არის ეტაპი, როდესაც დანაშაულებრივი შემოსავალი, როგორც უცხოური საინვესტიციო კომპანიიდან მოგება, კანონიერ ეკონომიკაში ბრუნდება. ფულის გამთეთრებელი ამ ფულს უძრავ ქონებაში, ფუფუნების საგნებში ან ბიზნეს კომპანიებში დებს მას შემდეგ, რაც უკანონო ფულს იმ ფიქტიური კომპანიების მეშვეობით გადმორიცხავს, რომელთა რეალური მიზანი სხვა არაფერია, თუ არა თავდაპირველი ფულადი სახსრების წარმომავლობის დამალვა.

## ფულის გათეთრების ელემენტები

ფულის გათეთრების ბრალდების დასამტკიცებლად, ბრალდების მხარემ დანაშაულის შემდეგი ელემენტების არსებობა უნდა დაადასტუროს:

- „პრედიკატული დანაშაულის“ არსებობა
- პრედიკატული დანაშაულის ჩადენის შედეგად „უკანონო შემოსავლის“ მიღება
- უკანონო შემოსავლის „ლეგალიზაციის“ ფაქტი
- შემოსავლის უკანონო წარმომავლობის „დამალვის განზრახვის“ ფაქტი.

### *„პრედიკატული დანაშაული“*

ბრალდების მხარემ, თავდაპირველად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, უნდა დაამტკიცოს პრედიკატული დანაშაულის არსებობის ფაქტი. პრედიკატული დანაშაული, რომელზეც პროკურატურა აპელირებს არის ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაული. ბრალდების შესახებ დადგენილებაში ნათქვამია:

---

<sup>13</sup> ხშირად ნახსენებია როგორც „სტრუქტურირება“ და გულისხმობს პირის მიერ ფულადი ტრანსაქციის განზრახ დანაწევრებას იმ მიზნით, რომ თავი აარიდოს მსხვილი ტრანსაქციის თაობაზე ანგარიშგებას ან როდესაც პირი ფულით გადაადგილდება იმგვარად, რომ თავიდან იცილებს საზღვარზე ფულის გადატანის გამო მის დეკლარირებას. იხილეთ AUSTRAC-ის ვებგვერდი <https://www.austrac.gov.au/glossary/structuring>.

„მას შემდეგ, რაც ხაზარაძე, ჯაფარიძე და წერეთელი „თიბისი ბანკიდან“ ჯგუფურად, მოტყუებით და მართლსაწინააღმდეგოდ დიდი ოდენობით თანხებს დაეუფლნენ, მისი წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, რეალური მფლობელის და ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით, უკანონოდ მოპოვებული თანხის ლეგალიზაცია დაგეგმეს.“

პროკურატურა აცხადებს, რომ სესხის განაცხადში მითითებული ვერსია, რომ სესხი „საბრუნავი სახსრების გაზრდის მიზნით“ სჭირდებოდათ, არასწორია. ბრალდების მხარე ასევე აღნიშნავს, რომ ბანკის მენეჯმენტის მოტყუების მიზნით, სხვადასხვა უძრავი ქონება „თვალთმაქცური სესხების უზრუნველსაყოფად“ იპოთეკით დაიტვირთა და ყოველგვარი საფუძვლის გარეშე პერიოდულად ხდებოდა მათი არსებული ვალდებულებებისგან გათავისუფლება.

პროკურატურის პოზიციის თანახმად, როდესაც სესხის თანხა „თიბისი ბანკიდან“ გადაირიცხა და სამგორის ანგარიშებზე „განთავსდა“, ამით პრედიკატული დანაშაული იქნა ჩადენილი.<sup>14</sup>

პრედიკატული დანაშაული სისხლის სამართლის სფეროში არსებული სტანდარტების შესაბამისად უნდა დამტკიცდეს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ვერცერთ პირს ვერ უმტკიცდება 16 664 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხის უკანონოდ დაუფლების ფაქტი.<sup>15</sup> გარდა ამისა, აღნიშნული დანაშაული ამ დროისთვის ხანდაზმულად ითვლება.

#### *არ არსებობს ფულის გათეთრების შემადგენლობის ცალკეული ელემენტები*

მოცემულ საქმეში, ბრალდების მხარე ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული პრედიკატული დანაშაულის დასამტკიცებლად ეყრდნობა იმავე ქმედებას, რომელსაც ფულის გათეთრების დანაშაულის დასამტკიცებლად უთითებენ. განხილვის საგანს წარმოადგენს, უკანონოდ მისაკუთრეს თუ არა ხაზარაძემ და ჯაფარიძემ „თიბისი ბანკის“ თანხები. არ არსებობს სხვა ცალკე აღებული ქმედება, რომელიც „თიბისი ბანკიდან“ წერეთლის კომპანიებისათვის სესხის გაცემის გარშემო არსებულ გარემოებებს უკავშირდება.

არ არსებობს ცალკე აღებული რაიმე ქმედება, რომელსაც, შესაძლოა, ფულის გათეთრების კვალიფიკაცია მიენიჭოს ხაზარაძის, ჯაფარიძის ან წერეთლის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში. ასეთ ვითარებაში ფულის გათეთრებისთვის სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოება ეწინააღმდეგება სხვადასხვა იურისდიქციაში აღიარებულ სამართალწარმოების პრაქტიკას, სადაც სასამართლოები ცალსახად არ ეთანხმებიან ფულის გათეთრების ბრალდების გამოყენებას იმ

<sup>14</sup> საქართველოს სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებაში აღნიშნა, რომ „მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულად მიჩნეულია არა სესხის დაბრუნებაზე უარი, მისი მართლსაწინააღმდეგო განკარგვა ან აღნიშნული თანხის რაიმე სხვა სახით მისაკუთრება, არამედ თავად სესხის ხელშეკრულების დადება.“

<sup>15</sup> ერთადერთი ქმედება, რომელიც ხაზარაძის და ჯაფარიძის წინააღმდეგ განხორციელდა, უკავშირდება ფიდუციური მოვალეობების დარღვევას, რაც ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენს, რომელსაც არ მოჰყვა რაიმე ბრალდება და რომელიც ვერ შეიძლება წარმოადგენდეს პრედიკატულ დანაშაულს. ეს ინფორმაცია ბევრ წყაროშია მოცემული, მათ შორის სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში, *ibid*, გვ. 8.

გარემოებებში, როდესაც ძირითადი დანაშაულის გარდა არ ყოფილა ჩადენილი რაიმე ცალკეული დანაშაულებრივი აქტი.

ამ საქმეში წარდგენილი ბრალდება მიზნად ისახავს ისეთი ქმედებების განცალკევებას, რომლებიც, არსებითად, ერთიდაიგივე ქმედებაა. ბრალდების მხარე ამას იმის მტკიცებით ცდილობს, რომ პრედიკატული დანაშაული დასრულდა სამგორის ანგარიშებზე ფულის „განთავსებისას“, ხოლო ყველა შემდგომი ქმედება ფულის გათეთრების ტოლფასი ქმედებაა<sup>16</sup>.

არსებითად, ბრალდება ორი დანაშაულისათვის მიმდინარეობს, რომელთაგან პირველი ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულია, ხოლო მეორე - ფულის გათეთრება. ბრალდების მხარე ხელოვნურად ყოფს ქმედებებს, რომლებიც მხოლოდ ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულის ნიშნებს შეიძლება შეიცავდეს. ფულის გათეთრება კი ცალკე აღებული დანაშაულია, რომელიც მისგან დამოუკიდებელ ქმედებას წარმოადგენს.

ბრალდების აღნიშნულ კონსტრუქციას, მსგავსი ფაქტობრივი სცენარებით, ადგილი ჰქონდა სხვა ქვეყნის იურისდიქციებშიც, რომლებიც სასამართლოს მიერ იქნა იქნა დაგმობილი და მიჩნეული იქნა როგორც ხელოვნური და დაუშვებელი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ფულის გათეთრების ბრალდება იმ ქმედების საფუძველზე ხორციელდებოდა, რომელიც მხოლოდ ძირითადი დანაშაულის შემადგენლობას მიეკუთვნებოდა, სააპელაციო სასამართლომ ფულის გათეთრების ბრალდება გააუქმა.<sup>17</sup>

ის ქმედებები, რომლებიც „სამგორის“ ანგარიშებზე ფულადი სახსრების მიღების შემდეგ განხორციელდა, არის ქმედებები, რომლებიც არა *ფულის გათეთრებას*, არამედ *ფულის გამოყენებას* უკავშირდება. ფართოდაა დაგმობილი პრაქტიკა, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს ფულის გათეთრების ნორმების გამოყენებით მაშინ, როდესაც მტკიცებულებები, რომელსაც გამოძიება ეყრდნობა, მხოლოდ პრედიკატული დანაშაულის და ამ დანაშაულის შედეგად მოპოვებული ქონების გამოყენებაზე მიუთითებს.

სხვადასხვა იურისდიქციაში მოქმედი სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელთაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ საკანონმდებლო ინიციატივებში უმთავრესი ადგილი უკავია, მოითხოვს, რომ ბრალდება ძირითადი დანაშაულისთვის იქნას წარდგენილი, რადგანაც ის წარმოადგენს ქმედებას, რომელმაც ბრალდებულს დანაშაულებრივი შემოსავალი მოუტანა, ხოლო „*იქ, სადაც ბრალდებულს სხვა არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ საკუთარი დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავალი მოიხმარა, ფულის გათეთრების თაობაზე დამატებით ბრალის წარდგენა გაუმართლებელია.*“<sup>18</sup>

ის ქმედებები, რაც სამგორის ანგარიშებზე ფულის ჩარიცხვას მოჰყვა, მათ შორის ხაზარადის და ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე თანხის გადარიცხვა, მხოლოდ მიღებული ფულის *გამოყენებაა* და არ ითვლება ქმედებად, რომელმაც შესაძლოა ფულის გათეთრების დანაშაულის შემადგენლობა შექმნას.

<sup>16</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება.

<sup>17</sup> Thorn v The Queen [2009] NSWCCA 294; Nahlous v The Queen [2010] NSWCCA 58; Schembri v The Queen [2010] NSWCCA 149; Dela Cruz v R [2010] NSWCCA 333.

<sup>18</sup> Bell, R. (2001), "Discretion and Decision Making in Money Laundering Prosecutions", Journal of Money Laundering Control, Vol. 5 No. 1, p. 41 at 45.

ფულის გათეთრება და პრედიკატული დანაშაული ცალკე აღებული დანაშაულებია და ის შემთხვევები, როდესაც პირს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ბრალდება ხელოვნურად, ძირითადი დანაშაულის ნაცვლად, წარედგინება, მაგალითად, მოსალოდნელი სასჯელის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება.<sup>19</sup>

ავსტრალიაში, ფედერალური პროკურატურის სახელმძღვანელო დირექტივა, რომელიც სააპელაციო სასამართლოების კრიტიკის შედეგად გამოიცა,<sup>20</sup> მოითხოვს, რომ ფულის გათეთრების ბრალდების წარდგენამდე პროკურორებმა სავარაუდო დანაშაულის ბუნება და მასშტაბი მტკიცებულებებზე დაყრდნობით შეისწავლონ და „თავი შეიკავონ ხელოვნულად საქმეების იმგვარი შედგენისაგან, რათა ფულის გათეთრების ბრალდების წაყენება შეძლონ.“<sup>21</sup>

საქმეზე *Thorn v The Queen*, რომელიც, ფულის გათეთრების ბრალდების წაყენების პრაქტიკის თვალსაზრისით კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო და რომელშიც ბრალდებისათვის იმგვარი მტკიცებულება იქნა გამოყენებული, რომელიც ძირითადი დანაშაულის ჩადენას ადასტურებდა, სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო სასამართლომ დაადგინა:<sup>22</sup>

*„[27] ეს იყო ფულის გათეთრების დანაშაულის უჩვეულო გამოყენება. აღნიშნული ბრალდება ფარავდა თაღლითობის დანაშაულებთან დაკავშირებულ ბრალდებას, სადაც იგი ფულისხმობდა იმ ფულადი სახსრების გამოყენებას, რომელთა მოპოვებაც დანაშაულების ჩადენის შედეგად, არაპატიოსანი გზით მოხდა. დანაშაული ფულისხმობდა ფულადი სახსრების მოპოვებას და არა მათ გამოყენებას. ეს იმ შემთხვევის ანალოგიურია, როდესაც მძარცველს ასამართლებენ როგორც ძარცვისთვის, ისე მოპარული საქონლის ფლობისთვის ...*

*[31] მაგრამ ამ შემთხვევაში განმცხადებელი მხოლოდ თაღლითური გზით მოპოვებული ფულის გადარიცხვას ახორციელებდა კომპანიის ანგარიშიდან საკუთარ ანგარიშზე ან ბანკომატიდან გამოჰქონდა ის, რათა შემდეგ აზარტული თამაშისთვის გამოეყენებინა. ის არაფერს აკეთებდა წყაროს დასამალად ან ფულადი სახსრების ბუნების შესაცვლელად. ის მხოლოდ ცდილობდა, მათზე წვდომა ჰქონოდა.“*

შესაბამისად, თუ პირი თაღლითურად მოპოვებულ ფულს სესხის დასაფარად იყენებს, ეს არ არის ფულის გათეთრება, ვინაიდან მისი მიზანი არ არის რეალური წყაროს დამალვა და იმის სიმულირება, თითქოს ეს ლეგალური ფულია - ეს მხოლოდ შემოსავლის გამოყენების გზაა. მაგრამ თუ პირმა დაგეგმა თაღლითურად მიღებული ფულის რამდენიმე საბანკო ანგარიშზე მცირე თანხებად განთავსება, შემდეგ კი უცხოური ფიქტიური კომპანიების მეშვეობით გადმორიცხვა, ვითომდა ეს კანონიერი უცხოური ბიზნესიდან მიღებული ლეგიტიმური შემოსავალია, ეს უკვე ფულის გათეთრებაა. ამ შემთხვევაში, განხორციელებული ქმედება ცალსახად შეესაბამება თაღლითურად მოპოვებული ფულადი სახსრების „ლეგიტიმაციის“ განზრახვას. წინა შემთხვევაში კი დამნაშავეები უბრალოდ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის გამოყენებას ცდილობდნენ.

<sup>19</sup> Ibid., 45.

<sup>20</sup> *Thorn v The Queen* [2009] NSWCCA 294; *Nahlous v The Queen* [2010] NSWCCA 58; and *Schembri v The Queen* [2010] NSWCCA 149; *Dela Cruz v R* [2010] NSWCCA 333.

<sup>21</sup> Commonwealth Director of Public Prosecutions (Australia’s Federal Prosecuting Agency): Money laundering – guidance for charging offences under Division 400 of the Code: National Legal Direction, March 2017.

<sup>22</sup> *Thorn v The Queen* [2009] NSWCCA 294 per Howie J at [27] and [31].

გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის (United Kingdom Crown Prosecutor Service) სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც ფულის გათეთრებაში ბრალდების წაყენების საკითხებს ეხება. რეკომენდაციები შეცავს მითითებებს პროკურორებისთვის წაუყენონ თუ არა ბრალი იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს სავარაუდოდ ჩადენილი აქვს პრედიკატული დანაშაული. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპებიდან, მოცემული საქმის კონტექსტში კი, ყველაზე რელევანტურია შემდეგი პრინციპები:<sup>23</sup>

- ძირითადი დანაშაული, ჩვეულებრივ, გამოძიებულ უნდა იქნას, ვინაიდან ის წარმოადგენს ქმედებას, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველს ქმნის.
- ფულის გათეთრება და ძირითადი დანაშაული ცალკე აღებული დანაშაულებია. ფულის გათეთრების ქმედებები არ უნდა იქნას განხილული როგორც პრედიკატული დანაშაულის „ნაწილი და შემადგენელი.“
- ფულის გათეთრების ბრალდების წაყენება იმ შემთხვევაში უნდა იქნას განხილული, თუ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებები აღემატება დანაშაულიდან მიღებული შემოსავლის მხოლოდ გამოყენების ფაქტს.
- იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი მცდელობა, გადაირიცხოს ან დაიმალოს უკანონოდ მოპოვებული შემოსავალი, ფულის გათეთრება დამატებითი ბრალდების სახით უნდა იქნას განხილული, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ ასეთი დაფარვის მიზანი მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი დევნისა და ქონების კონფისკაციის თავიდან აცილებაა.
- პრედიკატულ დანაშაულთან დაკავშირებით ბრალის წარდგენისას, გათეთრებული ფულის ფლობის ბრალდების წაყენება, შესაძლოა, საჭირო არ იყოს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავალი „უბრალოდ ლოგინის ქვეშ ინახებოდა,“ რადგანაც ამ შემთხვევაში დანაშაულებრივად მიღებული სარგებლის კონფისკაციაც საკმარისი იქნება.

ფუნდამენტური და საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი პრინციპები მოითხოვს, რომ პროკურორმა ის ბრალდება აირჩიოს, რომელიც სათანადოდ ასახავს დანაშაულის ბუნებას და მასშტაბს და რომელიც შესაბამის საფუძველს მისცემს სასამართლოს განაჩენის გამოსატანად.<sup>24</sup>

ამ საქმეში, ხაზარამეს, ჯაფარიმესა და წერეთელს ფულის გათეთრების ბრალდება წარუდგინეს იმ ვითარებაში, როდესაც სავარაუდო დანაშაული მხოლოდ ფულადი თანხების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულის ელემენტებს უკავშირდება და სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაული მხოლოდ ფულადი სახსრების მოპოვებასა და მის გამოყენებას ეხება. ფულის გათეთრებასთან თავსებად რაიმე ქმედებას კი ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

<sup>23</sup> Proceeds of Crime Act 2002 Part 7 – Money Laundering Offences, Legal Guidance, Proceeds of Crime <https://www.cps.gov.uk/legal-guidance/proceeds-crime-act-2002-part-7-money-laundering-offences> (accessed 1 February 2020).

<sup>24</sup> Bell, R. (2001), "Discretion and Decision Making in Money Laundering Prosecutions", op.cit., p. 45.

## *სავარაუდოდ ჩადენილი პრედიკატული დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა გასულია*

ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო საქართველოს პროკურატურას ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის ბრალდების წარდგენა არ შეუძლია, შეუძლებელია სავარაუდო პრედიკატული დანაშაულის დამტკიცება. ბრალდების წაყენებისათვის საკმარისი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაშიც კი პროკურატურა ახლა ამას ვერ გააკეთებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პრედიკატული დანაშაულის არსებობის შესაბამისი სტანდარტით დამტკიცება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტებით, ხაზარაძემ და ჯაფარიძემ უნდა ისარგებლონ უფლების დაცვის იმ მექანიზმით, რომელიც ბრალდებულებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ენიჭებათ, მიუხედავად იმისა, დამტკიცებადია თუ არა ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული ბრალდება. ეს საკითხი უფრო დეტალურად ქვემოთ არის განხილული.<sup>25</sup>

### *პრედიკატული დანაშაულიდან მიღებული „უკანონო შემოსავალი“*

ფულის გათეთრების ამ ელემენტის დასამტკიცებლად, ბრალდების მხარემ უნდა შეძლოს როგორც პრედიკატული დანაშაულის არსებობის დამტკიცება, აგრეთვე ისიც, რომ ფული სწორედ ამ დანაშაულის ჩადენის შედეგად იქნა მიღებული. პრედიკატული დანაშაული ხანდაზმული რომ არ ყოფილიყო და იგი დამტკიცებულიყო, მაშინ ფული ამ დანაშაულიდან მიღებულ შემოსავალად შეიძლება ჩათვლილიყო .

თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დანაშაულის ჩადენის შედეგად შემოსავლის მიღების ფაქტის დამტკიცება, თავისთავად, არ წარმოადგენს ფულის გათეთრების ჩადენის დადასტურებას.

### *უკანონო შემოსავლის „ლეგალიზაცია“*

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია გულისხმობს „ფულის გათეთრების პროცესს“, რომლის მეშვეობითაც უკანონოდ მოპოვებულ ფულს ლეგიტიმური სახე ეძლევა. ეს, როგორც წესი, მოიცავს ფულის განთავსებას, დანაწევრებას (ფენების გაჩენა) და ინტეგრაციას, თუმცა აუცილებელი არ არის, რომ იგი სამივე ზემოთხსენებულ ეტაპს მოიცავდეს<sup>26</sup>.

ბრალდების შესახებ დადგენილებაში ნათქვამია:

*„მას შემდეგ, რაც ხაზარაძე და ჯაფარიძე ჯგუფურად, მოტყუებითა და მართლსაწინააღმდეგოდ „თიბისი ბანკიდან“ დიდი ოდენობით თანხას დაეუფლნენ, უკანონოდ მოპოვებული თანხების ლეგალიზაცია დაგეგმეს მათი წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, რეალური მფლობელისა და ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით. საკუთარი განზრახვის განსახორციელებლად, მათ მიღებული*

<sup>25</sup> იხილეთ ქვეთავი სათაურით „ხანდაზმულობის ვადა.“

<sup>26</sup> ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (FATF), ვებგვერდი [www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering](http://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering).

თანხების კონვერტაცია და დანაწევრება უნდა მოეხდინათ და სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში რამდენიმე ტრანსაქცია განხორციელდებინათ. შეთანხმებისამებრ, „სამგორი M“-ისა და „სამგორი თრეიდის“ ანგარიშებზე თანხების განთავსების დღესვე, მათი ლარში კონვერტაცია განხორციელდა და ფორმალური სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში, 17%-იანი საპროცენტო განაკვეთით იმავე ბანკში მ. ხაზარაძისა და ბ.ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე გადაირიცხა“.

ბრალდების თანახმად, „სამგორი M“-იდან და „სამგორი თრეიდიდან“ ხაზარაძისა და ჯაფარიძის ანგარიშებზე ფულის განთავსების შედეგად მოხდა თანხის „განთავსება, გაყოფა და სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში ხაზარაძისა და ჯაფარიძის მიერ საქართველოსა და საზღვარგარეთ მათი პირადი სესხების დასაფარად გადარიცხვა.<sup>27</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება დეტალურად აღწერს, თუ როგორ იქნა ფული გამოყენებული და უდავოა, რომ ეს ფული სხვადასხვა სესხის გადასახდელად იქნა გამოყენებული. თუმცა, ეს ფულის გათეთრებას არ წარმოადგენს, ეს, უბრალოდ, მტკიცებულებაა იმისა, თუ როგორ იქნა გამოყენებული აღნიშნული თანხა.

მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებაში საუბარია „სამგორის“ ანგარიშებზე ფულადი სახსრების „განთავსებაზე“ ამგვარი განთავსება არ არის ფულის გათეთრების დამადასტურებელი მტკიცებულება. ეს უბრალოდ სესხის მიღების აუცილებელი ნაბიჯია. ქონების უკანონო მისაკუთრება რომც დამტკიცებულიყო, ეს ფულის მოპოვება იქნებოდა და არა მისი გათეთრება.<sup>28</sup>

ხაზარაძისა და ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე ფულის გადარიცხვა მხოლოდ გამოყოფილი თანხების მიღებისა და გამოყენების (დამტკიცების შემთხვევაში ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაული) და არა ფულის გათეთრების დამადასტურებელი მტკიცებულებაა.

როდესაც განიხილება საკითხი, ხელს უწყობს თუ არა განხორციელებული ტრანზაქცია ფულის გათეთრების ქმედებას, საჭიროა იმის განხილვაც, გამართლებულია თუ არა ამგვარი ტრანზაქცია კომერციული თვალსაზრისით. მაგალითად, კაპიტალდაბანდების ხშირი ყიდვა-გაყიდვა „ფენების გაჩენის“ მანიშნებელი შეიძლება იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსაკრებლები და საკომისიოები ინვესტიციებიდან მიღებულ შემოსავლებს აჭარბებს.<sup>29</sup> იმ ფონზე, როდესაც ქურდობისა და სხვაგვარი დანაკარგის თანმდევი რისკების პირობებში, არ არსებობს საბანკო სისტემისთვის თავის არიდების მყარი კომერციული ან სხვაგვარი არგუმენტი, მსხვილი ფულადი სახსრების მოძრაობა ხშირად იმ ვარაუდს წარმოშობს, რომ ფული დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალია.<sup>30</sup>

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა ტრანსაქცია დოკუმენტურად იყო გაფორმებული კანონიერ ეკონომიკაში. სესხები, რომლებიც შემოწმდა, უკავშირდებოდა ხაზარაძისა და ჯაფარიძის განზრახვას, რათა „თიბისი ბანკის“ კაპიტალიზაცია მოეხდინათ. არსებობს მოწმის ჩვენება და დოკუმენტური მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ თითოეული სესხი არის ნამდვილი სესხი, გაცემული ნამდვილი კრედიტორებისთვის და თითოეული სესხის მიზანი იმ ვალდებულებების შესრულება იყო, რომლებიც „თიბისი ბანკის“ კაპიტალიზაციას უკავშირდებოდა.<sup>31</sup> არცერთი სესხი არ არის მიჩნეული

<sup>27</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება.

<sup>28</sup> Thorn v The Queen, op.cit.

<sup>29</sup> Bell, Dr. R.E. "Proving the Criminal Origin of Property in Money-Laundering Prosecutions", (2000) Journal of Money Laundering Control, Vol. 4 No. 1, pp. 12-25.

<sup>30</sup> Ibid.

<sup>31</sup> საქართველოს სახალხო დამცველი, სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, გვ.10.

ფიქტიურად<sup>32</sup> ან ისეთი არალოგიკური ტრანსაქციების ნაწილად, რომელთაც არანაირი ბიზნეს ან კომერციული მიზანი არ გააჩნდათ.

დადგენილი რომც იყოს, რომ ხაზარაძემ და ჯაფარიძემ ნამდვილად იცოდნენ ის ფაქტი, რომ წერეთელმა ფული „თიბისი ბანკიდან“ მიიღო და ისინი ნამდვილად უკანონოდ დაეუფლნენ 16,664,000 აშშ დოლარს,<sup>33</sup> მათი შემდგომი ქმედება არ სცდება ფულად სახსრებზე წვდომის მოპოვებისა და ამ ფულით სხვა ვალების გადახდის ფაქტს. მათ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ, რათა უკანონოდ მიღებული ფულის „ლეგალიზება“ ალოგიკური ტრანსაქციების განხორციელების გზით მოეხდინათ. გარდა ამისა, ადგილი არ ჰქონია ფულის ისევ კანონიერ ეკონომიკაში ინტეგრაციას. ასევე, „ლეგალიზების“ გზით არ მომხდარა ფულის გადატანა ისევ ხაზარაძისა და ჯაფარიძის ჯიბეში ან ფარულად რომელიმე სხვა პირთან.

შესაბამისად, არ არსებობს ფაქტი, რომელიც გაამყარებდა მოსაზრებას, რომ რაიმე ქმედება განხორციელდა, რათა ფულის ნამდვილი ბუნების შესაცვლელად „ტრანსაქციების სერიების, კონვერსიებისა და გადარიცხვების მეშვეობით“ მისი ლეგალიზაცია, ამ ფულის უკანონო წყაროს დაფარვა<sup>34</sup> და შემდგომ მისი უკან, ლეგალურ ეკონომიკაში ინტეგრირება მომხდარიყო.

#### *ფულის წარმომავლობის „შენიღბვის განზრახვა“*

ფულის გათეთრების დანაშაულის დასამტკიცებლად პროკურატურამ უნდა დაამტკიცოს, რომ ხაზარაძეს და ჯაფარიძეს ფულადი სახსრების წყაროს დამალვა ჰქონდათ განზრახული. ამ თვალსაზრისით, ბრალდების მხარე აცხადებს, რომ ფულადი სახსრების მიღების შემდეგ ხაზარაძემ და ჯაფარიძემ „...მისი ლეგალიზება მოახდინეს ტრანსაქციების სერიების, კონვერსიების და გადარიცხვების მეშვეობით, რითიც მისი უკანონო წყარო დამალეს, ასევე მისი ნამდვილი ბუნება, წარმომავლობის წყარო, მოძრაობა და მასზე საკუთრების უფლება შენიღბეს.“<sup>35</sup>

თუმცა, სესხის ხელშეკრულებების ან ტრანსაქციების შედგენის ფორმა ვერ იძლევა საფუძველს, რათა დაგვესკვნა, რომ ხაზარაძეს ან ჯაფარიძეს ფულადი სახსრების წყაროს დამალვის „დანაშაულებრივი განზრახვა“ (mens rea)<sup>36</sup> ჰქონდათ.

ფული ხაზარაძის და ჯაფარიძის პირად ანგარიშებზე ჩაირიცხა. ხაზარაძეს და ჯაფარიძეს არცერთ ეტაპზე თავიანთი მონაწილეობის დამალვა არ უცდიათ. ყველა სესხის ხელშეკრულება დოკუმენტურად გაფორმდა და არანაირი მცდელობა არ ყოფილა, რომ ხაზარაძესა და ჯაფარიძეს დაემალათ ფულადი სახსრების წარმომავლობა, მისი მიმღებების ვინაობა ანდა მათი კავშირი იმ ფულთან და სესხებთან, რომელიც „თიბისი ბანკის“ კაპიტალიზაციისთვის სჭირდებოდათ.

<sup>32</sup> Ibid. p.10.

<sup>33</sup> მოშე ლადორი და პოლ კოფი, 2019 წლის 1-2 სექტემბერი, „ანგარიში თიბისი ბანკის საქმეზე.“

<sup>34</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება.

<sup>35</sup> ბრალდების შესახებ დადგენილება

<sup>36</sup> Mens rea ლათინურად ნიშნავს „სუბიექტურ შემადგენლობას, ბრალდებულის ნებას“, რაც პირის ფსიქიკური დამოკიდებულებაა, რომ ჩაიდინოს დანაშაული; ან იმის ცოდნას, რომ მისი ქმედება ან უმოქმედობა დანაშაულის ჩადენას გამოიწვევდა.



ფულის გათეთრების საქმეში განზრახვა მაგალითად შესაძლებელია, დამტკიცდეს პირდაპირი მტკიცებულებით, აღიარებით ანდა საქმეში არსებული გარემოებებიდან დასკვნის გამოტანით. საქმეში *United States v Garcia-Emanuel*<sup>37</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ არსებობდა სხვადასხვა ტიპის მტკიცებულებები იმის დასადგენად, ტრანსაქცია მიზნად ისახავდა თუ არა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ბუნების, ადგილმდებარეობის, წყაროს, მასზე საკუთრების უფლების დამალვას ან შენიღბვას. მტკიცებულებათა ნუსხა მოიცავდა: ტრანსაქციის გარშემო არსებულ უჩვეულო საიდუმლოებას; ტრანსაქციის იმგვარად სტრუქტურირებას, რომ მას ყურადღება არ მიეპყრო; ტრანსაქციის უჩვეულო მახასიათებლებს; მესამე მხარის გამოყენებას რეალური მფლობელის დამალვის მიზნით; ან რიგ უჩვეულო ფინანსულ ქმედებებს, რაც ტრანსაქციით დასრულდა; ასევე ექსპერტიზის მიერ გაცემულ განმარტებას დანაშაულებრივი პრაქტიკის შესახებ.<sup>38</sup>

განსახილველ საქმეში, არ არსებობს დამალვის ან შენიღბვის დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება. გარდა ამისა, ხაზარაძე და ჯაფარიძე არ აღიარებენ ან ადასტურებენ, რომ ისინი ფულადი სახსრების ნამდვილი წარმომავლობის დამალვას გეგმავდნენ. ამასთან, სხვა რაიმე ინდიკატორი, რომელიც დანაშაულებრივ განზრახვას დაადასტურებდა, არ არსებობს.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ საქმეს *U.S. v Millender*,<sup>39</sup> რომელიც ეხებოდა საინვესტიციო თაღლითობის სქემას, რომლის ფარგლებშიც ბრალდებულები 600 000 აშშ დოლარის სესხებს ითხოვდნენ ეკლესიის მრევლისა და სხვა კერძო კრედიტორებისგან იმ პირობით, რომ მოგებას მაღალი განაკვეთით დააბრუნებდნენ, რა დროსაც კრედიტორებს სესხის ნამდვილი მიზნობრიობის შესახებ ატყუებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ისინი თაღლითობაში ცნო დამნაშავედ, ფულის გათეთრების ბრალდება უარყოფილი იქნა იმ მოტივით, რომ ფულის გათეთრების ბრალდებისას „შენიღბვის“ დასადასტურებლად საჭიროა, პროკურატურამ დაამტკიცოს, რომ „ადგილი აქვს კონკრეტულ განზრახვას, რომლის მიზანსაც ისეთი ტრანსაქციის განხორციელებას წარმოადგენს, რომლითაც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ნამდვილი ბუნების დამალვა იქნება შესაძლებელი.“<sup>40</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ „არცერთი ტრანსაქცია არ იყო იმგვარად გაფორმებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სასამართლოს დანაშაულებრივი განზრახვის (*mens rea*) არსებობის დასკვნა გამოეტანა, ვინაიდან არცერთი ტრანსაქცია არ მალავდა ფულის წყაროს და არც იმაზე მიაჩნებდა, რომ მათი მიზანი წყაროს დამალვა იყო.“<sup>41</sup>

ანალოგიურად, „თიბისი ბანკის“ საქმეში ფულადი სახსრების დამალვას ადგილი არ ჰქონია. როგორც დაცვის მხარე აცხადებს, ის პრაქტიკა, რომლითაც სესხები ჩამოიწერა, უჩვეულო არ ყოფილა 2008 წლის ომისშემდგომი მძიმე ეკონომიკური ვითარებისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის

<sup>37</sup> *United States v Garcia-Emanuel* 14 F.3d 1469 (10th Cir. 1994)

<sup>38</sup> *Ibid.*; Bell, Dr. R.E. "Proving the Criminal Origin of Property in Money-Laundering Prosecutions", *op.cit.*

<sup>39</sup> *U.S. v Millender*, 2017, საქმე, No. 1:16-Cr-239-L & 2 (Ajt), რომელიც ეხებოდა საინვესტიციო თაღლითობის სქემას და რომელზეც ბრალი ეკლესიის დამფუძნებელს, პასტორს და „პირველ ლედის“ წარუდგინეს. საქმეში არსებული მტკიცებულების თანახმად, პასტორმა დაგეგმა და დააფუძნა მიკრო საწარმოების მართვის ჯგუფი, რომლის სავარაუდო მიზანიც განვითარებად ქვეყნებში ღარიბების, იმ მეწარმეების, რომელთაც ბიზნესის დაწყება ან გაფართოება სურდათ, დახმარება იყო მცირე, მოკლევადიანი სესხების გაცემის გზით. საწარმოთა დასაფინანსებლად ჯგუფმა 600 000 აშშ დოლარის ოდენობის „სესხები“ მოითხოვა ეკლესიის მრევლისა და სხვა კერძო კრედიტორებისგან იმ პირობით, რომ მოგებას მაღალი განაკვეთით დააბრუნებდა.

<sup>40</sup> *Ibid.*

<sup>41</sup> *Ibid.*

გათვალისწინებით. ეს პოზიცია მტკიცებულებებით არის გამყარებული.<sup>42</sup> მიუხედავად იმისა, თუ როგორი ბიზნესპრაქტიკა იყო იმ დროს, ვალის ჩამოწერა ვერ იქნება ქმედება, რომელიც ფულის გათეთრების ქმედების შემადგენლობის ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს. „ვალის ჩამოწერა“ შესაძლოა იყოს თაღლითობის დამადასტურებელი მტკიცებულება (თუმცა ბრალდების მხარე ამ ფაქტს, როგორც პრედიკატული დანაშაულის დამადასტურებელ მტკიცებულებად არ იყენებს),<sup>43</sup> მაგრამ ეს ვერ იქნება ფულის გათეთრების ქმედების შემადგენლობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

შესაბამისად, ბრალდების მხარის მტკიცების საპირისპიროდ, არ არსებობს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე რაიმე საფუძველი, რომელიც მოგვცემდა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ხაზარაძეს, ჯაფარიძეს ან წერეთელს ჰქონდათ თანხის „ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, მოძრაობის ან საკუთრების უფლების“ დამალვის განზრახვა.

## ხანდაზმულობის ვადა

ხანდაზმულობის ვადის გამო, პროკურატურა ბრალდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით თაღლითობის ბრალდებას ვერ წარუდგენს, ვინაიდან იგი ხანდაზმულად ითვლება ამავე კოდექსის 71-ე მუხლის საფუძველზე<sup>44</sup> სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის გასვლის გამო.<sup>45</sup> ფულის გათეთრების ბრალდება კი

<sup>42</sup> იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, რომლის თანახმადაც ბანკის მენეჯმენტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ვალების ჩამოწერის მსგავსი პრაქტიკა 2008 წლის ომის შემდეგ ყველა „უიმედო“ ვალის მიმართ განხორციელდა; ვ.ბ-ს დაკითხვის მასალები, სისხლის სამართლის საქმე #074020818802 ტომი 10, გვ. 94-137; პ.გ-ს დაკითხვის მასალები, ტომი 10, გვ. 214-230.

<sup>43</sup> საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენის) სასამართლოს მეგობრის მოსაზრება; ვ.ბ-ს დაკითხვის მასალები, სისხლის სამართლის საქმე #074020818802 ტომი 10, გვ. 8

<sup>44</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად:

1. პირი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას; ბ) ექვსი წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; გ) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან; დ) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2. ხანდაზმულობის ვადა გამოიანგარიშება დანაშაულის ჩადენის დღიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე...

<sup>45</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად:

### **მუხლი 12.** დანაშაულის კატეგორიები

1. ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით, დანაშაული სამი კატეგორიისაა: ა) ნაკლებად მძიმე დანაშაული; ბ) მძიმე დანაშაული; გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

2. ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახვი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას.

3. მძიმეა ისეთი განზრახვი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული,

კლასიფიცირდება როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომლის ხანდაზმულობის ვადაც 25 წელია.<sup>46</sup>

„ხანდაზმულობის ვადა“ არის კანონმდებლობით დადგენილი ვადა, რომლის ფარგლებშიც სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს. ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო პირის ექვემდებარება დაცვას თუ სისხლისსამართლებრივი დევნა ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში არ დაწყებულა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი დამნაშავეა.

იმ ვითარებაში, როდესაც კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საფუძველზე თაღლითობის ბრალდებით პრედიკატული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ დაიწყება, წამოიჭრება შემდეგი საკითხები:

- შეუძლებელია, ფულის გათეთრება ჩადენილად ჩაითვალოს, თუ არ არსებობს იმ პრედიკატული დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება, რომლითაც უკანონო ფული იქნა მოპოვებული. ხანდაზმულობის ვადა არ იძლევა რომელიმე პირის მიმართ თაღლითობის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობას. ამიტომ ბრალდების მხარე შესაბამისი სტანდარტით ვერ დაამტკიცებს, რომ არსებობს პრედიკატული დანაშაულის ჩადენის ფაქტი.
- ისეთ შემთხვევაში, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულები შესაძლოა წარმოადგენდეს პრედიკატული დანაშაულის დამადასტურებელ ინფორმაციას, პრედიკატული დანაშაულის ნაცვლად ფულის გათეთრების ბრალდების წაყენება იმის გამო, რომ ფულის გათეთრების ბრალდებას უფრო მაღალი სანქცია აქვს ან მისი მიზანი ხანდაზმულობის ვადისათვის თავის არიდებაა, არის სხვადასხვა იურისდიქციაში მკაცრად დაგმობილი პრაქტიკა და მიჩნეული როგორც პროკურატურის დისკრეციული უფლებამოსილების არასწორი განხორციელება და სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენება.

პროცესის ბოროტად გამოყენებად შეიძლება შეფასდეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება იმ ნორმაზე დაყრდნობით, რომელიც არ ექვემდებარება ხანდაზმულობის ვადის გასვლას (ამ შემთხვევაში ფულის გათეთრების ბრალდება სსკ-ის 194-ე მუხლით), და არა იმ ნორმის საფუძველზე (სსკ-ის 180-ე მუხლი), რომელსაც იმ შემთხვევაში გამოიყენებდნენ ხანდაზმულობის ვადა გასული რომ არ ყოფილიყო.

---

რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.

4. განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვალო თავისუფლების აღკვეთა.

<sup>46</sup> Ibid.

ამგვარი სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება პროცესის ბოროტად გამოყენებად და „განმეორებით მსჯავრდება“ (double jeopardy)<sup>47</sup> განიხილება და სხვადასხვა იურისდიქციაში ამგვარი სისხლისსამართლებრივი დევნა მუდმივად ან პირობითად, პროცესის შეჩერებით, წყდება.<sup>48</sup>

### **სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენება ხანდაზმულობისთვის თავის არიდების მიზნით კანონის მანიპულირების გზით**

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ფულის გათეთრების ბრალდებით იმ პირობებში, როდესაც პრედიკატულ დანაშაულზე დევნა არ განხორციელებულა ან როდესაც იგი ხანდაზმულია, ბევრ იურისდიქციაში კრიტიკის საგანია.

ხანდაზმულობის ვადისათვის გვერდის ავლა პირისათვის ფულის გათეთრების თაობაზე შეუსაბამო ბრალდების წარდგენით, რათა სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის შესაბამისი ბრალის წარდგენისას ხანდაზმულობის ვადის გასვლის თანმდევი შედეგები თავიდან ყოფილიყო აცილებული შესაძლოა პროცესის ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდეს, რასაც სასამართლოს მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა უნდა მოჰყვეს.

### *სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დოქტრინა*

ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დოქტრინის საფუძველს წარმოადგენს, აბრკოლებს სასამართლო სისტემის იმგვარად გამოყენებას, რომ ის წინააღმდეგობაში მოვიდეს მის ძირითად ღირებულებებთან, მიზნებთან და პრინციპებთან. პროცესის ბოროტად გამოყენებას, შესაძლოა, მოჰყვეს სამართალწარმოების მუდმივად შეწყვეტა (the permanent stay) ან დროებითი შეწყვეტა (the temporary stay).

„სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების“ დოქტრინა თანამედროვე სისხლის სამართლის განუყოფელი ნაწილია და შეიძლება განიმარტოს როგორც „კონცეფცია, რომელიც იმ გარემოებებს აღწერს, რომლებიც ახლავს სისხლისსამართლებრივ დევნას და რომელთა დროსაც სისხლისსამართლებრივი დევნა დროზე ადრე უნდა შეწყდეს იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც საქმის განხილვის იურისდიქცია გააჩნია.“<sup>49</sup>

სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენება მოიცავს: სამართალწარმოების პროცესის გაუმართლებელ გაჭიანურებას, რის შედეგადაც ბრალდებულს უჩნდება განცდა, რომ სამართლიანი

---

<sup>47</sup> „განმეორებითი მსჯავრდება“ გულისხმობს პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას ან დასჯას ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისთვის. შესაბამისად, ორმაგი რისკის შემთხვევაში, სასამართლო განხილვა იკრძალება, თუ ადრეული სისხლის სამართლის საქმე, „ფაქტიურად ან არსებითად, იგივეა, რაც ძირითადი ან სხვა დანაშაული, რომლის მიმართაც [ბრალდებული] გაამართლეს ან, შესაძლოა, გაესამართლებინათ, ან გაასამართლეს.“ *Connelly v DPP [1964] AC 1254, 1305 per Lord Morris.*

<sup>48</sup> Lawrence, Stephen, Abuse of Judicial Process in Criminal Proceedings para 16-17.

<https://criminalcpd.net.au/wp-content/uploads/2017/01/abuse-of-judicial-process-criminal-cle-0117.pdf>.

<sup>49</sup> *ibid.*, para 17.

სასამართლო პროცესი ვერ გაიმართება; სასამართლო პროცესს ხანგრძლივი და საზიანო წინასასამართლო საჯაროობის შემდეგ; განმეორებით მსჯავრდება; სასამართლო პროცესს პროკურატურის მიერ შესაბამისი მასალების დაკარგვის ან განადგურების შემდეგ; ისეთ შემთხვევას, როდესაც სამართალწარმოება ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესსა და მართლმსაჯულების სისტემის სამართლიანობას, რადგან ბრალდების მხარეს ბრალი მიუძღვის გამოძიების არასათანადოდ წარმოებაში; აგრეთვე იმ შემთხვევას, როდესაც პროკურატურას ბრალი მიუძღვის სასამართლო პროცესით მანიპულირებასა და მის ბოროტად გამოყენებაში.<sup>50</sup>

ლორდმა დევლინმა ლორდთა პალატაში საქმეზე *Connelly v DPP* სისხლის სამართალში სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დოქტრინის გამოყენებასა და სასამართლოების როლთან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი კითხვა დასვა:<sup>51</sup>

*„უნდა იყვნენ თუ არა სასამართლოები დამოკიდებული აღმასრულებელ ხელისუფლებაზე იმისათვის, რომ სამართალწარმოების პროცესი ბოროტად გამოყენებისგან დაიცვან? განა მათი აუცილებელი მოვალეობა არ არის, უზრუნველყონ სამართლიანი პროცესი იმათთვის, ვინც მათ წინაშე წარსდგება? ამ ტიპის კითხვებზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს: სასამართლოებმა არცერთი წუთით არ უნდა იფიქრონ აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის პასუხისმგებლობის გადაკისრებაზე, რათა სამართლებრივი პროცედურების ბოროტად გამოყენება არ მოხდეს.“*

სასამართლოები მსოფლიო მასშტაბით უკვე დიდი ხანია, თვლიან, რომ შეუძლიათ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, თუ პროცესი უსამართლობას იწვევს ან სასამართლო ხელისუფლების ლეგიტიმურობას აზიანებს. საქმეზე *Lee v the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა სასამართლოების უფლებამოსილება, შეწყვიტონ ან „შეაჩერონ“ სასამართლო პროცესი:<sup>52</sup>

*„სისხლის სამართლის სასამართლოებს, მათ შორის სამხედრო სასამართლოებს, აქვთ ფართო იურისდიქცია, რომ შეაჩერონ სამართალწარმოების პროცესი მისი ბოროტად გამოყენების მოტივით. სამართალწარმოების შეჩერების თაობაზე განცხადებას აქვს „plea in bar“ სახე ... [და] სასამართლოში საქმის განხილვის შეჩერებას ემსახურება.“*

ბევრი იურისდიქციის სასამართლო შეეცადა, რომ ყველა იმ ქმედების კლასიფიკაცია მოეხდინა, რომელიც სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების ტოლფასი იქნებოდა და რომლის დროსაც სასამართლოს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებაზე უარი უნდა ეთქვა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ასეთი შემთხვევა:

- *R v Beckford*-ის საქმის განხილვისას, ინგლისის და უელსის სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, თუმცა სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების ბევრი მიზეზი გამოიკვეთა, აღსანიშნავია მისი ორი ძირითადი ასპექტი<sup>53</sup>:

<sup>50</sup> *Lee v the United Kingdom* ECHR 18 September 2012 (Apps no 25119/09, 57715/09 and 57877/09), para. 42; Choo, op. cit., Chapter 2 ‘Prosecutor Manipulation or Misuse of Process, in *Judicial Stays of Criminal Proceedings* (Second Edition) Oxford University Press (2008).

<sup>51</sup> *Ibid*, 1254.

<sup>52</sup> *Lee v the United Kingdom*, op. cit.

<sup>53</sup> (1996) 1 Cr. App. R. 94 at 100.

- ა) შემთხვევა, რომლის დროსაც სასამართლო ჩათვლის, რომ ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლო ვერ იქნება უზრუნველყოფილი;
- ბ) შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტს, რომ ბრალდებულის გასამართლება სამართლიანი არ იქნება.

- საქმეში *Attorney-General of Trinidad and Tobago v. Phillip* სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების აკრძალვა შეფასდა როგორც „...სისხლისსამართლებრივი დევნისაგან პირთა დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია მაშინ, როდესაც პირის სისხლისსამართლებრივი დევნა უკიდურესი უსამართლობა იქნებოდა“<sup>54</sup>
- საქმეში *Canadian Union of Public Employees v City of Toronto and Attorney General of Ontario*<sup>55</sup> კანადის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „მოსამართლეებს გააჩნიათ შინაგანი და ხელშეუვალი დისკრეციული უფლებამოსილება, რათა სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენება აღკვეთონ.“
- საქმეში *Moti v The Queen*<sup>56</sup> ავსტრალიის უზენაესმა სასამართლომ პროცესის ბოროტად გამოყენების ორ ფართო კატეგორიას გაუსვა ხაზი: „...პირველი, საჯარო ინტერესს წარმოადგენს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება იმგვარად მოხდეს, რომ სასამართლომ თავისი ფუნქცია სრულყოფილად შეასრულოს იმის უზრუნველყოფით, რომ სამართალწარმოების პროცესი სამართლიანად იქნას გამოყენებული სახელმწიფოსა და მოქალაქის მიერ. მეორე, სასამართლო ამ ამოცანას თუ ვერ შეასრულებს, ამას მოჰყვება სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობის შერყევა და მოქალაქეებს გაუჩნდებათ განცდა, რომ სასამართლო სისტემა უსამართლობისა და ჩაგვრის იარაღად შეიძლება იქნას გამოყენებული. საზოგადოების ნდობა ეხება რწმენას, რომ სასამართლოებს აქვთ კონსტიტუციური ვალდებულება, უზრუნველყონ პროცესის სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.“

საქმეში *Director of Public Prosecutions v. Humphreys*<sup>57</sup> (referred to in *Lee v the United Kingdom*) სასამართლომ დაადგინდა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის უფლებამოსილებას „უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო მნიშვნელობა აქვს“ რომელიც „რუდუნებით უნდა იქნას შენარჩუნებული.“

სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების დოქტრინის საფუძველია, საქართველოს კონსტიტუციითაც არის განმტკიცებული.<sup>58</sup> გარდა ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საქართველოს კონსტიტუციასთან, ასევე საერთაშორისო სამართლის პრინციპებთან და სტანდარტებთან შესაბამისობას მოითხოვს.

<sup>54</sup> [1995] 1 A.C. 396.

<sup>55</sup> 2003 SCC 63.

<sup>56</sup> 2011] HCA 50 (7 December 2011) at [57] , [77] ff.

<sup>57</sup> [1977] A.C. 1.

<sup>58</sup> საქართველო კონსტიტუცია, მუხლი 31.

## ხანდაზმულობის ვადისათვის თავის არიდება ან მანიპულირება

იმ შემთხვევებში, როდესაც „ბრალდების მხარის მიერ სამართალწარმოების პროცესით მანიპულირებას ან მის არასათანადო გამოყენებას ჰქონდა ადგილი, რათა ბრალდებულისთვის კანონით მინიჭებული უფლება წაერთმია, ან არასამართლიანი უპირატესობით ესარგებლა,”<sup>59</sup> სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ამგვარი ქმედება პროცესის ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა და ამიტომ, გამართლებული იქნებოდა სასამართლო პროცესის შეჩერება.<sup>60</sup>

ამასთან დაკავშირებით, „თიბისი ბანკის“ საქმის შესახებ ანგარიშში ნათქვამია, რომ ძირითადი ფაქტები „თაღლითობის ტიპის“ დანაშაულს უკავშირდება:<sup>61</sup>

*„ამ შემთხვევაში პრედიკატული ქმედება აშკარად ბანკის წინააღმდეგ ჩადენილი თაღლითობაა . ამგვარმა ქმედებამ, შესაძლოა, დაარღვიოს თაღლითობის თაობაზე ერთი ან მეტი კანონი, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დამოუკიდებლადაა განხილული. პროკურატურამ გვაცნობა, რომ ამ შემთხვევაში თაღლითობის პრედიკატულ დანაშაულთან დაკავშირებით ხანდაზმულობის ვადის გამო დაუშვებელია ცალკე ბრალდებების წარდგენა“.*

დავის საგანს წარმოადგენს, არსებობს თუ არა მტკიცებულება, რომელიც ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულს ადასტურებს. თუმცა საქმეში არსებული ფაქტები არ სცდება აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობას.

ხელისუფლება აწესებს შესაბამის პირობებს იმ შემთხვევებში, როდესაც ხანდაზმულობის ვადა გასულია და ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი დევნა სხვა ნორმის საფუძველზე ხორციელდება:

- დაუშვებელია იმავე ქმედებაზე სხვა მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება ხანდაზმულობის ვადისათვის თავის არიდების ან გვერდის ავლის მიზნით.
- ბრალის წაყენება, შესაძლოა, სხვა ნაწილით განხორციელდეს დამოუკიდებელი ქმედებისთვის, რომელიც არ იყო იმ ქმედების ნაწილი, რომელიც ხანდაზმულ დანაშაულს წარმოადგენს.
- შესაბამისი ბრალდება საქმეში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით არის წარმოებული.

მოცემულ საქმეში, ბრალდების მხარე ფულის გათეთრების დანაშაულის დასამტკიცებლად იმავე ფაქტებს ეყრდნობა, რასაც ქონების უკანონოდ დაუფლებასთან დაკავშირებული დანაშაულის ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების დროს დაეყრდნობოდა. ყველაზე მეტი, რისი დამტკიცებაც შეიძლება მოხდეს თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებაა, თუმცა საქმეში არსებული მტკიცებულებები ფულის გათეთრების ბრალდებას ვერ ამყარებს. ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი ძირითადი არგუმენტები იმ გარემოებებისკენაა მიმართული, რომლებიც „სამგორის“ კომპანიებისათვის თავდაპირველი სესხის გაცემას ეხება.

ხანდაზმულობის ვადის გვერდის ავლის მცდელობის საკითხი გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატამ განიხილა საქმეზე „R v J”,<sup>62</sup> სადაც სასამართლომ მიიღო ის არგუმენტი, რომ სამართალწარმოება უნდა შეჩერდეს პროცესის ბოროტად გამოყენების მოტივით იმ ვითარებაში,

<sup>59</sup> R v Derky Crown Court, exp Brooks (1985) 80 Cr App R 164, 168-9 (decision of 1984).

<sup>60</sup> Choo, Andrew L T, Judicial Stays of Criminal Proceedings (Second Edition) Oxford University Press (2008) p.21.

<sup>61</sup> Lador, Moshe, and Coffey, Paul E., TBC Bank Case Report, 1 and 2 September 2019.

<sup>62</sup> [2004] UKHL42, [2005] 1 AC 562.

როდესაც ბრალდება ხანდაზმულობის ვადისთვის თავის ასარიდებლად იქნა წაყენებული. აღნიშნულ შემთხვევაში პროკურატურამ ბრალის წარდგენა 1956 წლის სექსუალური დანაშაულის აქტის მე-14 ნაწილით მოახდინა, ვინაიდან მე-6 (1) ნაწილი, რომელიც საქმეში არსებულ ფაქტებს შეესაბამებოდა, სისხლისსამართლებრივი დევნისთვის 12-თვიან ვადას ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ ლორდთა პალატამ დაადგინა, რომ პროკურატურა კეთილსინდისიერად იქცეოდა და ბრალდებულების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება საზოგადოების ინტერესში შედიოდა, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო მან საქმის წარმოება შეწყვიტა.<sup>63</sup>

„პარლამენტის მიზანია, რომ არ დაუშვას მის მიერ მიღებული კანონმდებლობის პირდაპირი მნიშვნელობისთვის გვერდის ავლა, ხოლო სასამართლოების მოვალეობაა, რომ ხელი არ შეუწყონ პარლამენტის მიერ დადგენილი ნორმებისათვის თავის არიდებას ... მოცემულ შემთხვევაში მარტივად დასაწახი და აშკარაა ხანდაზმულობის ვადისთვის გვერდის ავლის განზრახვა. ამ ვითარებაში, ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: მოცემული აქტის თანახმად, ხანდაზმულობის ვადისათვის გვერდის ავლა არ შეიძლება ბრალდების მანიპულირებით და ხანდაზმულობის ვადის გასვლის თავიდან აცილების მიზნით მე-14 ნაწილით გათვალისწინებული ბრალის წარდგენით იმ ქმედებისთვის, რომელზეც ცალსახად მე-6(1) ნაწილი ვრცელდება.“<sup>64</sup>

სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება იქნა მიღებული სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც, რომელიც ყალბი საგადასახადო დეკლარაციის წარდგენისათვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ბრალდებებს ეხებოდა. დევნა იმ მოტივით შეწყდა, რომ ქმედება, რომელიც ყალბი საგადასახადო დეკლარაციის შევსებას ეხებოდა, საშემოსავლო გადასახადის კანონის თანახმად, ხანდაზმული აღმოჩნდა.<sup>65</sup>

ლორდთა პალატამ ასევე განიხილა საკითხი, ითვლება თუ არა პროცესის ბოროტად გამოყენების შემთხვევად ახალი ბრალის წაყენება ბრალდებულისთვის მას შემდეგ, რაც იმავე შემთხვევაზე მას უკვე წარედგინა ბრალი და წინა ბრალდებისთვის დადგენილი პატიმრობის ვადა გასულია, რაზეც ლორდმა ჰოუფმა *R (Wardle) v Crown Court*-ის საქმეზე განაცხადა:<sup>66</sup>

*„...სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების კონცეფცია არ უნდა იზღუდებოდეს მხოლოდ იმ საქმეებით, რომელთა შემთხვევაშიც შეგნებული არაკეთილსინდისიერების ან ბრალდების მხრიდან არასწორი მოტივის მტკიცებულება არსებობს... ვფიქრობ, ამ კონტექსტში უფრო სწორი იქნებოდა უფრო ფართო და მარტივი ტესტის გამოყენება. ეს შესაბამისობაში იქნებოდა [ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის] 5.1 მუხლის მიზანთან, რომლის თანახმადაც, თავისუფლების აღკვეთის დროს პირი თვითნებობისგან დაცული უნდა იყოს.“*

ხანდაზმულობის ვადა არის კანონით გათვალისწინებული ბრალდებულის დამცავი ღონისძიება. ხაზარაძეს, ჯაფარიძესა და წერეთელს არ უნდა ჩამოერთვათ ამ გარანტიით სარგებლობის შესაძლებლობა იმ პირობებში, როდესაც მათ ფულის გათეთრების შეუსაბამო ბრალდება წარუდგინეს,

<sup>63</sup> Ibid., [39].

<sup>64</sup> Ibid., [37].

<sup>65</sup> Chaudhry v State [2012] FJHC 1229 (Fijian High Court).

<sup>66</sup> R (Wardle) v Crown Court at Leeds [2001] UKHL 12, [2002] 1 AC 754, [97].



რასაც, შედეგად მოჰყვება სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ხანდაზმულობის ვადისთვის გვერდის ავლა.

სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენების აკრძალვის პრინციპის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დაცვას უპირატესი ძალა უნდა ჰქონდეს, განურჩევლად იმისა, არიან თუ არა ბრალდებულები პრედიკატული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავეები, შედის თუ არა კონკრეტული პირების გასამართლება საზოგადოების ინტერესში<sup>67</sup> და არსებობს თუ არა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადო ან არასათანადო მოტივი.<sup>68</sup>

## დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების, სასამართლო პრაქტიკისა და საქმეში არსებული ფაქტების მხედველობაში მიღებით, ვერ მტკიცდება მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის ან ავთანდილ წერეთლის მიერ ფულის გათეთრების ჩადენის ფაქტი.

არ არსებობს რაიმე ქმედება, რომელიც ფულის გათეთრების დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს დაადასტურებდა. ბრალდებულების ქმედებები, რომელსაც ბრალდების მხარე ეყრდნობა, არ სცდება იმ ფაქტებს რომლებიც, დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლოა პრედიკატული დანაშაულის ჩადენაზე მიუთითებდეს. მტკიცებულებებით არ დასტურდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გათვალისწინებული ფულის გათეთრების დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

სასამართლოები არასდროს ემხრობოდნენ ფულის გათეთრების მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოების ისეთ პრაქტიკას, როდესაც ქმედება არ სცდება სავარაუდო პრედიკატულ დანაშაულს და როდესაც სახეზე არ არის ფულის გათეთრების ქმედების შემადგენლობა.

მოცემულ საქმეში, ბრალდებულების მიერ განხორციელებული სავარაუდო ქმედება ხანდაზმულია, ხოლო ხანდაზმულობის ვადისთვის გვერდის ავლის მიზნით პირის მიმართ ფულის გათეთრების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა სამართალწარმოების პროცესის ბოროტად გამოყენებაა, რაც იმ ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომლებიც ყველა ბრალდებულის უფლებების დაცვას ითვალისწინებს.

პოლინ დევიდი

ადვოკატი

საერთაშორისო ექსპერტი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში

Samuel Griffith Chambers

სიდნეი, ავსტრალია

---

<sup>67</sup> R v J. op.cit. [69].

<sup>68</sup> R (Wardle) v Crown Court at Leeds, op.cit.